ცნობის ფურცელი

№ 2540 ხუთშაბათი, 1 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2540

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატ-—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ოლდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Moамбе“. ტელეფონი № 372,

ელენე გრიგოლის ასული, შვილნი მისნი: მიხეილ, გრიგოლ, თამარ ირაკლის ძენი და ასული ციციშვილები და ეკატერინე ირაკლის ასული ზალდასტანოვისა, სოფიო ზაქარიას ასული და დარია მერაბის ასული ციციშვილები და ბესარიონ სოლომონის ძე ზალდასტანოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი: ძვირფასის ქმრისა, მეორენი—მამისა, მესამე—ბიძისა, მეოთხე—მაზლისა და უკანასკნელი—სიმამრის

ირაკლი მიხეილის მის ციციშვილისას,

რომელიც გარდაიცვალა ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ტფილისში 29 ივნისს. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 3 ივლისს სოფ. ხვედურეთში (ქარელის სადგურიდან) საგვარეულო სასაფლაოზე. (1—241—1)

საფაბრიკოსაწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—135)

თვალის ავადმყოფობის ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი
გადავიდა
ბარონის ქუჩაზე № 11. (3—1)

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირ დაპირ
ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ
საკანდიტერო დარბაზში
იყიდება
მიტროფანე ლაღიძის
საუკეთესო ქარხნის ნამდვილი
ხილეულის
მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—ნქ.—14)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. **გედევანიშვილი**.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. **დიასამიძე**.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. **მულინი**.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. **ბალარჯიშვილი**.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. **ხოზოლევსკი**.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ვ. ა. **ბეიერი**.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. **ქალი მ. ქ. იოხელიანი**.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. **მონინი**.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. **ხოზოლევსკი**.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა.
ბარონის ქუჩა, № 11.

მცხეთის ზემოდან ს. მუხრანში იყიდება საგარაკო ადგილი 12 დესეტინა კარგის ღობით შეკრული ერთად. ეს მამული არის გამართული საზღვარ-გარეთის ხეხილით და საუკეთესო ჯიშის ვაზით. ამ მამულში მიდის დიდი მდინარე წყალი სასმელი და საბანაო. წლიური შემოსავალი 3000 მანეთი. ფასი მამულისა 25,000 მანეთი. მსურველს შეუძლიან მიმართონ ვლადიმერ გურგენიძეს, კირპიჩნის შესახ. № 9, სახ. ურმუზოვისა. (1—240—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ივნისი

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 27 ივნისს: „26 ივნისს ჩვენი ჯარი სრულის წესით გაიჩოუსკენ წავიდა. ეს ჯარი იმაგრებდა მტერს, რომელსაც ოთხ დივიზიამდე ჰყავდა და რომელიც თუმცა პირდაპირ მოდიოდა, მაგრამ მარცხენა ფრთეს მოვლასაც შეუდგა. ჩვენი ზარალი ჯერ-ჯერობით ცნობაში არ არის მოყვანილი, მაგრამ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 400 მაინც არ აღემატება. მოკლულის კაპიტანის გრაფ ნიროდის გარდა, დაიჭრა ხუთი აფიცერი, რომელთა გვარებიც ჯერ არ ვიცით. 26 ივნისს, საღამოთი, მტერი ისევ სიმაღლეებზე იყო გაიჩოუს ჩრდილოეთით და ძირს ხეობაში არ ჩასულა. 27 ივნისს ღამემ წყნარად ჩაიარა; დილით გამოირკვა, რომ იაპონიის ჯარის მოწინავე სადარაჯოები რკინის გზის ლიანდაგიდან გამწკრივებული იყო სიმაღლეებზე ერლდოფანშინამდე (მდებარეობს გაიჩოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, 12 ვერსის მანძილზე). ამავე დროს მტერს საკმაოდ ძლიერ ჯარისთვის თავი მოეყარა დალინგოუს მიდამოებში (გაიჩოუს ჩრდილოეთ აღმოსავლეთით, 8 ვერსის მანძილზე). იაპონელთა მზვერავნი გაჰყვნენ რკინის გზის ლიანდაგს; მიდიოდნენ აგრეთვე დამიჩაოს გზითაც. 27 ივნისს შუადღემდე, იაპონელთა ჯარს არ ეტყობოდა წინსვლა დაშიჩაო-სიუიანის მხრისკენ. 26 ივნისს, დილით, ჩვენმა მზვერავთა რაზმმა, რომელსაც დაშიჩაო-სიუიანის გზის შუა ადგილს სროლა დაუწყეს, აღმოაჩინა, რომ მტრის რამდენიმე როტა წინ მიიწევდა. შუადღისასაც აღმოჩნდა, რომ იაპონელთა ექვსი როტა და ორი ზარბაზანი შავ მთებიდან სამხრეთისაკენ მიდიოდნენ. სიანლიანის მიდამოებში იაპონელთ ჰყავდათ ქვეითა ჯარის ერთ ბრიგადამდე და ორი ბატარეია. ამ ჯარმა უადალინის უღელტეხილსა და ერლდივგოტიდან სიანდიანზე გაილაშქრა. ნაშუადღევს ასტყდა სროლა, რომელმაც დაღამებამდე გასტანა. მერე საღამოს 6 საათისთვის ჩვენმა ჯარმა დაიწყო დასავლეთით, უღელტეხილისკენ. ამ ბრძოლაში ჩვენ დაგვიჭრეს 2 აფიცერი და 15 სალდათი და მოგვიკლეს 4 სალდათი. ხაიჩენ-სიუიანისკენ ცვლილება არა მომხდარა-რა. ყაზახთა ერთმა სოტნამ, პოდესაულის ნიკოლაევის უფროსობით, სიხეიანთან ჩაითრია საფარში მტრის ესკადრონი. ყაზახებმა მხოლოდ სამი ცხენი დაჰკარგეს. იაპონელთ ჩვენებმა მოუკლეს და დაუჭრეს 20 კაცამდე, ერთიც ტყვედ წამოიყვანეს“.

პენზა. დღეს ქალაქს საგანგებო ცლფერი ედო. დილიდანვე მრავლად მოსულმა ხალხმა ქუჩები აავსო. მაზრებიდან ხალხი ათასობით მოვიდა სათაყვანებელ ხელმწიფის სანახავად. საიმპერატორო მატარებლის მოსვლამდე კარგად მორთულს ბაქანზე შეიკრიბნენ: გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიისა და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საერობო უფროსნი მამასახლისებით, წარმომადგენელნი პენზისა, სამაზრო ქალაქებისა, საგუბერნიო და სამაზრო ერობებისა, ვაჭრებისა, მოქალაქეებისა, ხელოსნებისა და ებრაელებისაგან. 9 საათსა და 15 წუთზე მოვიდა საიმპერატორო მატარებელი, რომელსაც ხმა-მაღალის „ურა“-ს ძახილით მიეგებნენ. ვაგონიდან გამოსვლის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ მემკვიდრესთან ერთად და ამალის თანხლებით ჩაუარა დეპუტატებს და გაბედნიერა პურ-მარილის მიღებით, ხოლო ებრაელთა საზოგადოებისაგან მიიღო შლოცვათა კრებული. მისმა უდიდებულესობამ უმოწყალესად მადლობა გადაუხადა ყველას მიგებებისა და პურ-მარილისათვის, ამასთან ბრძანა, მოხარული ვარ, რომ მოველ პენზაში, რომელზედაც, მგზავრობიდან დაბრუნებულმა, გავიარე 13 წლის წინად, ხოლო დღეს მოვედი შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ ჯარის დასალოცავად, რომ ომი რუსეთის საკეთილდღეოდ დასრულდესო. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი ცხენზე შებრძანდა და იქით გაემართა, სადაც ჯარი უნდა დაეთვალიერებინა. მუსიკა საერო ჰიმნს უკრავდა. მისმა უდიდებულესობამ, გაუშვა რა თავის წინ ჯარი ცერემონიალის მარშით, ფრონტის შუაში ჩადგა და მოწყალე სიტყვებით გზა-მშვიდობისა უსურვა პოლკებსა და დალოცა ხატებით; ამასთან უსურვა უვნებლად დაბრუნება. საპანაკო მინდვრიდან ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრესთან ერთად წაბრძანდა ეტლით საკათედრო ტაძარში, სადაც შეიკრიბნენ თანამდებობის კაცნი. სობორნის მოედანზე გამწკრივებულნი იყვნენ ცეცხლის მქრობელთა საზოგადოების რაზმი და მოსწავლენი. ტაძარში შესვლისას ხელმწიფეს მიეგება ეპისკოპოსი ტიხონი, რომელმაც ხელმწიფე და მემკვიდრე ხატებით დალოცა და მისაგებებელი სიტყვა წარმოსთქვა. ხელმწიფემ მოისმინა პარაკლისი, ემთხვია ყაზანის ღვთისმშობლის ხატს და ტაძრიდან წავიდა სადგურზე, საიდანაც მატარებელი დაიძრა 11 საათსა და 30 წუთზე. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. იმ გზაზე, რომელზედაც ხელმწიფე მიდიოდა, ხალხი მრავლად იდგა. იგი სიხარულსა და ბედნიერებას აცხადებდა ხელმწიფის დანახვის დროს და „ურა“-ს ჰყვიროდა. ქალაქის შენობანი ლამაზად იყო მორთული დროშებითა და ყვავილთა ხვეულებით.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). მეტად ცხარე ბრძოლებისა და თავგამოდებულ იერიშების შემდეგ იაპონელთა გენერალმა ოკუმ 25 ივნისს, შუადღისას, დაიჭირა გაიპინგი და აიძულა რუსის ჯარი, ხაიჩენისკენ წასულიყო. რუსებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ის გორაკები, რომელნიც ქალაქს ერტყა, რუსებს კარგად გაემაგრებინათ.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ევროპიელი, რომელიც წამოსულა პორტ-არტურიდან კვირას ნაშუადღევს, ამბობს, რომ კვირას, ღამის პირველ საათზე, იაპონელებმა თავგამოდებული იერიში მიიტანეს შიდა ნავთ-სადგურში შესასვლელადაო. იერიში უკუქცეულ იქმნა; ზარალი არც ერთ მხარეს არ მოსვლია. 22 ივნისს პორტ-არტურის გარშემო გაცხარებული ბრძოლა იყო. რუსები ირწმუნებიან, რომ იაპონელები ყველგან უკუაქციეს.

ტოკიო. („ვოლფის სააგენტო“). გენერალ კუროკი იტყობინება, რომ 23 ივნისს იაპონელებმა უკუაქციეს 300 ცხენოსანი და დაიჭირეს ციანჩანი, საიმაძიდან 30 მილის მანძილზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ზარალი იაპონელებს არ მოსვლიათ.

29 ივნისი

ჩიფუ. („რეიტ. საგ.“). აქ დღეს ცხარე სროლის ხმა ისმოდა პორტ-არტურიდან ღამის 12 საათიდან დილის სამ საათამდე.

შანჰაი. (ბერლინის გზით). შაბათს რუსეთის ესკადრა გამოვიდა პორტ-არტურიდან, იერიშით მივიდა იაპონიის სადარაჯო გემებზე და ისევ ნავთსადგურში დაბრუნდა.

ბერლინი. ბევრი ამერიკელი კორესპონდენტი დაბრუნდა შორეულ აღმოსავლეთიდან, რადგან არავითარი იმედი არ არის საყურადღებო ცნობების მიღებისა მებრძოლთაგან; ის ცნობები კი, რომელიც ეხლა იძლევიან, სრულიად არა ღირს იმად, რაც კორესპონდენტებზე იხარჯება.

ბერნი. (შვეიცარიის სააგენტო). შვეიცარიის რესპუბლიკის საბჭომ გაიწვია თავისი სამხედრო მისია, რომელიც რუსეთის ჯართან იყო გაგზავნილი შორეულ აღმოსავლეთში. ამ გაწვევას იმითა ჰხსნიან, რომ ორივე შვეიცარელი აფიცერი, რომელნიც ლიაოიანში იყვნენ ვითომცა სრულიად უსაქმუროდ, დიდ მოუთმენელობას იჩენდნენ.

29 ივნისი

ლიაოიანი. გაიჩოუს ბრძოლის შემდეგ ჩვენმა სამხრეთის რაზმის ჯარებმა ჩრდილოეთისაკენ დაიწიეს. აღმოსავლეთის რაზმში პატარა შეტაკებეპია ჩვენ და იაპონელ მოწინავე რაზმებს შორის, რომელნიც თოფის სასროლ მანძილზე არიან დაშორებულნი ერთმანეთისაგან. იაპონელები სცდილობდნენ, პროკლამაციები გაევრცელებინათ, მაგრამ მათმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ყველა პროკლამაციები ხელში ჩავიგდეთ. წვიმები არ არის.—ჩვენ დაჭრილებს ჰკლავენ არა მარტო იაპონელები, არამედ ჩინელებიც.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). მოდულინის უღელტეხილთან მყოფ იაპონიის პირველ არმიის მთავარ-სადგურიდან იუწყებიან, რომ გენერალ რენენკამფის კავალერიის დივიზია, ქვეითა ჯარისა და არტილერიის დახმარებით, ისევ ენერგიულად მოქმედებს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეზე.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). 26 ივნისს, დილით, რუსის, კრეისერები „ბაიან“-ი, „დიანა“, „პალადა“ და „ნოვიკ“-ი ორის ნაღმიანისა და 7 კონტრ-ნაღმიანის გემით პორტ-არტურიდან გამოვიდნენ. იმათ წინ მოდიოდნენ ნაღმების გამანადგურებელი გემები. იაპონიის ნაღმიან გემთა ფლოტილიამ იერიში მიიტანა რუსის გემებზე, რომელნიც ნაშუადღევს ისევ ნავთ-სადგურში დაბრუნდნენ. ტოგოს მოხსენებით, იაპონიის ფლოტილიას არავითარი ზარალი არ მოსვლია.

სეული. („რეიტ. სააგ“). უცხოელ კორესპონდენტებსა და სამხედრო აგენტებს პირველად მისცეს ნება ჯარს ახლდნენ წინსვლის დროს. აქამდისინ-კი ისინი უკან რჩებოდნენ გენერალ კუროკის მთავარ-სადგურზე.

29 ივნისი

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. სააგ.“). სხვა-და-სხვა ადგილებიდან მოსული ჩინელები ამბობენ, რომ რუსები ყველგან უკან იხევენ იაპონელთა ჯარის წინ, რომელსაც ამ მოკლე ხანში ნიუ-ჩუანში ელიანო. ენერგიული მზადებაა დაშიცაოს დასაცველად. ნიუ-ჩუანში, სამხე-

დრო მდგომარეობის მიუხედავად, ვაჭრობა ცოცხლად სწარმოებს; ნავთსადგურში ბევრი გემია.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ტოგო იუწყება, რომ ორშაბათს შუაღამისას, ნაღმიანი გემები მიუახლოვდნენ პორტ-არტურის ნავთსადგურის ნაღმებით შეკრულ შესავალს და ნაღმები ესროლეს სადარაჯო გემს. შედეგი არ იციან. იაპონელთა ნაღმიან გემებს ზარალი არ ჰქონიათ.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ხმებია, რომ რუსის 5 კრეისერი და რამდენიმე ნაღმიანი გემი შაბათს, დილის 8 საათზე, გამოვიდნენ პორტ-არტურიდან და ყუმბარები დაუშინეს მტრის პოზიციებს აღმოსავლეთ სანაპიროზე. გემები დაუზიანებელნი დაბრუნდნენ საღამოს 6 საათზე. ისინი შეხვდნენ ტოგოს ესკადრას და იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

ტოკიო. (ბერლინის გზით). რუსებს მაგრად უჭირავთ უღელტეხილი რკინის გზაზე, პორტ-არტურის ჩრდილოეთით, 14 მილის მანძილზე. უღელტეხილს იქით ჩაწყობილი ნაღმებია და 12-დიუიმიან ზარბაზნებით ძლიერ გამაგრებული პოზიციაა. უცხოელი სამხედრო აგენტები და კორესპონდენტები 7 ივლისს დასტოვებენ მეორე არმიას და ფრონტზე გამოვლენ.

ლონდონი. (ბერლინის გზით). ამ ჟამად რუსები საჩქაროდ აკეთებენ სანგრებს დაშიცაოსთან.

ტულონი. გემ „არიოლ“-ს „ფორე და შანტიე“-ს გემთ-საშენებელში გადააკეთებენ მოძრავ საავადმყოფოდ. მუშაობას ერთ თვეზე მეტს მოუნდებიან; გამოანგარიშებული ხარჯი—300 ათასი ფრანკია; ამ ფულის მესამედი საფრანგეთის პრესსამ ხელის მოწერით შეაგროვა. „არიოლი“ 12 აგვისტოს მზად იქნება შორეულ აღმოსავლეთში წასასვლელად.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუს“-ს ატყობინებენ ხაიჩენიდან: გენ. კუროპატკინი ყველგან დადის და რუსის მოწინავე პოზიციებს ათვალიერებსო.

„ბირჟევია ვედომოსტ“-ის სამხედრო კორესპონდენტი იუწყება: რუსის რაზმები სამხრეთ მანჯურიაში 22 ივნისს ამნაირად იდგნენ. გაიჩოუში ყაზახთა რაზმი იდგა გენ. სამსონოვის უფროსობით. გაიჩოუს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინავე რაზმი იდგა გენ. ჩირიკოვის უფროსობით, საბრძოლველად დამზადებული. დასასრულ, გენ. ჩირიკოვის აღმოსავლეთით დაუღალავ გენ. მიშჩენკოს ყაზახები იდგნენ. იაპონელების უმთავრესი ჯარი, მგონია, ზოგი სიუანს ახლო დგას, ზოგი გაიჩოუს პირდაპირ. რა მხრიდან დაგვეცემიან იაპონელები, ძნელი გამოსაცნობია. მგონია, რომ სადმე სიუანსა და დაშიცაოს შუა უნდა დაგვეცნენ. იაპონელები ჩვენ სალდათებში რაღაც პროკლამაციებს ავრცელებენ. ამ პროკლამაციებში იაპონელები ჰპირდებიან რუსებს, თუ ტყვედ ჩა გვივარდებით ხელში, კარგად მოგექცევით, არაფერს დაგიშავებთო.

ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს „რუსკოე სლოვო“-ს: 20 ივნისს იაპონელებმა გაიჩოუსა და სენიუჩენს შუა ერთი ყუთი დასტოვეს; ყუთზე კარგის რუსულის ენით მოწოდება იყო დაწერილი რუსის სალდათებთანაო.

ხაიჩენიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა: მე-21 მსროლელთა პოლკის თავისუფალმა მეომარმა გიმნაზისტმა მოროზოვმა ილაპარაკა: 13 ივნისს დალინის უღელტეხილზე ვიყავით; ჩვენი როტა ყველაზე წინ იდგა; შესასვენებლად შევდექით; დავსხედით, ჩაის სმას შევუდექით. უცებ ყველა მხრიდან იაპონელები გაჩნდნენ; თავი ძლივს დავახწიეთ. 14 ივნისს ჩვენი როტა ჯერ მარჯვენა ფრთაზე გაგზავნეს, მერე მარცხენაზე გადაიყვანეს. დილის ასე 10 საათზე, იაპონიის კავალერია დაგვეცა, როტის ნახევარი გასწყვიტა, მაგრამ ჩვენი კავალერია მოგვეშველა და სრულ დაღუპვას გადაგვარჩინა; კავალერიის დახმარებით, უკან დავიხიეთ. ჩვენი კამანდირი კაპიტანი კირილოვი არაფრის გულისათვის არ აპირობდა უკან დახევას, სანამ ორჯელ არ უბრძანეს. 15 ივნისს ჩვენი დაჭრილები შეიკრიბნენ. ერთმა დაჭრილმა გვიამბო, იაპონელები მეტად კარგად ექცევიან დაჭრილ რუსებსაო. ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა დაჭრილ რუსებს დაუარეს, იარა ყველას ჩინებულად შეუხვიეს, ქაში აჭამეს, ჩალა დაჰხურეს და უბძანეს, მოიცადეთ, სანამ საკაცეებს მოიტანენო, მაგრამ როცა იაპონელები წავიდნენ, დაჭრილი რუსები აქეთ-იქით გაიპარნენ და თავიანთ რაზმებისაკენ გასწიეს. თუმცა ზოგი ცუდს ლაპარკობს იაპონელებზე, მაგრამ უფრო ბევრნი ქებით იხსენიებენ იაპონელების კაცთ-მოყვარეობას.

გენ. ოკუს უთქვამს: ის ხმები, ვითომ იაპონელები დაჭრილ რუსებს სტანჯავდნენ და ასახიჩრებდნენ, ნამდვილი ტყუილია. პირიქით, მე დავრწმუნდი, რომ თითონ რუსის ჯარი არა ყოფილა განათლებული ჯარიო. („რ. ლ.“).

„რუსკი ლისტოკ“-ის სამხედრო კორესპონდენტი ბ-ნი ელეცი იუწყება ლიაოიანიდან: აქ ლაპარაკობენ, გენ. კუროკიმ ერთი ტყვე რუსი დაიბარა და რუსის ჯარის ამბავი გამოჰკითხა, მაგრამ ვერაფერი ვერ ათქმევინა. საუბრის დროს გენ. კუროკიმ, სხვათა შორის, უთხრა ტყვესაო: იაპონელებს სამხრეთ მანჯურიის დაჭერა, მუკდენისა, პორტ-არტურისა და ინკოუს აღება სწადიანთო. თუ ეს მოვახერხეთ, მერე რუსებს მილიონი ჯარი დასჭირდებათ იაპონელების განსადევნადაო. 24 ივნისს დაშიცაოში ტყვე იაპონელები მოიყვანეს. ამ ტყვეებმა ამაყად უთხრეს რუსის აფიცერს: იაპონია იარაღს არ დაჰყრის და ბრძოლაზე ხელს არ აიღებს, ვიდრე რუსებს ბაიკალს იქით არ განდევნისო.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: გენ. კუროკიმ მოახსენა იაპონიის მთავარ-შტაბს, 21 ივნისს, დილით, მოდულინის უღელტეხილიდან 2 კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს, ორმა რუსის როტამ ჩვენ პატარა სადარაჯო რაზმს წრე შემოავლო და შტიკებით დაერია. ჩვენმა რაზმმაც შტიკით გასცა პასუხი. ჩვენი უმთავრესი მოწინავე რაზმი მალე მივიდა ბრძოლის ადგილას, მტერს შენტიაპუძისა და თხავუანისაკენ დაახევინა და კარგა ხანს სდია. თითქმის ამავე დროს მტერმა შიაკაოლინის დასავლეთითაც იერიში მოიტანა ჩვენს მოწინავე სადარაჯო რაზმებზე, მაგრამ მაშინვე უკუ ვაქციეთ. ჩვენ 19 ჯარის კაცი მოგვიკლეს, 2 აფიცერი და 36 ჯარის კაცი დაგვიჭრეს. მტერმა ბრძოლის ველზე 53 მოკლული და 40 დაჭრილი კაცი დასტოვა. დევნის დროსაც ზარალი მოუვიდა. („რ. ს.“).

„პრავიტ. ვესტნიკ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: 21 ივნისს, მოდულინის უღელტეხილთან ბრძოლის დროს, პოლკოვნიკ ლეჩიცკისა და პოდპოლკოვნიკ გარნიცკის კალონებს (გენ. კელლერის კორპუსს ეკუთვნიან) შემდეგი ზარალი მოუვიდათ: იაპონელებმა 14 აფიცერი და 273 სალდათი დასჭრეს, 101 კაციც არსადა სჩანს: ზოგი მოკლული იქნება, ზოგი დაკარგული.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: რუსებმა თითქმის უბრძოლველად დასტოვეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი უღელტეხილიო; იაპონიაში ძლიერ უკვირთ ესა და ვერ გაუგიათ, რად მოიქცა ასე გენ. კუროპატკინიო. ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე ვაფანდიანსა და პულანდიანს შუა ყველა ხიდი შეაკეთეს და რკინის გზა დაუბრკოლებლივ მუშაობს. ჩინელებს დიდის ხალისით გადაჰქვთ იაპონელების ბარგი და სურსათი. („რ. ლ.“).

იაპონური გაზ. „ნიში-ნიში სიმბუნ“-ში 9 ივნისს ცნობა დაბეჭდილი, ვითომ რუსის ჯარში, უმთავრესად მუკდენსა და ლიაოიანში, რაღაც უცნაური მოარული სენი გავრცელდაო: ავადმყოფს ჯერ ძილი მოსდის, მერე სულაც ჰკვდებაო. „სავ.-ტელ. სააგენტო“ იუწყება: ეს ცნობა ტყუილია, რუსის ჯარში არავითარი მოარული სენი არაა გავრცელებულიო. („რ. ს.“).

ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ფლოტის დახმარებით, იაპონელებმა 22 ივნისს 5 ათასი ჯარის კაცი გადაიყვანეს და საალყე ზარბაზნები გადაიტანეს ტიგროვაია ბუხტაშიო (დალნის ახლო). („ბ. ვ.“).

იაპონიის საელჩომ პარიზში ადმირალ ტოგოს ახალი ოფიციალური მოხსენება გამოაცხადა. ტოგო სწერს: 14 ივნისს ღამეს პორტ-არტურთან ზღვაში ახალი ბრძოლა მოხდაო. („რ. ვ.“).

„მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: პორტ-არტურიდან მოსულმა რუსებმა ილაპარაკეს ჩიფუში: ტყუილია ის ცნობა, ვითომ 15 ივნისს პორტ-არტურთან რუსის სადარაჯო გემი დაღუპულიყოსო. 14 ივნისს პორტ-არტურთან „გილიაკ“-ი იდგა დარაჯად და სრულებით არ დაზიანებულაო.

ინგლისელი სამხედრო კორესპონდენტები იუწყებიან ტოკიოდან: პორტ-არტურიდან ერთის მილის მანძილზე ნავთ-სადგურის შესავალთან რუსებმა ზღვა ხის კოჭებით გალობეს, ეტყობა, იმ აზრით, რომ იაპონელების მცურავმა ნაღმებმა ნავთ-სადგურამდე ვეღარ მიაღწიონო. („რ. ვ.“).

ამას წინად ადმირალმა ტოგომ მოახსენა იაპონიის საზღვაო შტაბს: 22 ივნისს გემი „კაიმონი“ ტალიენვანის ბუხტაში ხშირ ჯანყის დროს ნაღმს წააწყდა და ჩაიძირაო. გემის უფროსი ტაკაგაში, 2 სხვა აფიცერი და 19 მატროსი დაიღუპა, დანარჩენი მეზღვაურები გადარჩნენო. გემი „კაიმონი“ პატარა გემი იყო; იაპონიაში იკოსუკის ვერფზე 1882 წელს იყო აშენებული. წყალ-წყვა—1,367 ტონა ჰქონდა, სიგრძე 210 ფუტი და 10 დიუიმი; საათში 12 მილს გადიოდა; 13 მსწრაფლ მსროლელი ზარბაზანი და 2 სანაღმე აპარატი ჰქონდა; 201 მატროსი და 17 აფიცერი ჰყავდა. ამ გემის დაღუპვა სათქმელ ზარალს არ შეადგენს იაპონიის ფლოტისათვის. („რ.“).

ინგლისის კონსულმა შეტყობინა ინგლისის გემს ცინვანდაოში, რა-წამს რუსები ინკოუს (ნიუჩუანს) დასცლიან, მაშინვე ინკოუში მოდი, რომ ჩინელმა ყაჩაღებმა ქალაქი არ აიკლონო. („რ. ს.“).

დალინის უღელტეხილის დაჭერა. 13—14 ივნისს იაპონელებმა მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი დაიჭირეს ხაიჩენის გზაზე,—ორის დღის ბრძოლის შემდეგ დალინის უღელტეხილი ჩაიგდეს ხელში. „ტაიმს“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: იაპონელ სარდლის ოფიციალურ მოხსენებიდან სჩანს, რომ რუსებს 3 თვეს უმაგრებიათ დალინის უღელტეხილი; ფორტები გაუმართავთ, კაზარმები აუშენებიათ და დიდძალი საკვები სურსათი დაუმზადებიათ. გარშემო გორები სანგრებით გაუვსიათ, ეკლიანი მავთული გაუბამთ, ნაღმები ჩაუწყვიათ, ორმოები ამოუთხრიათ, მარგილების ღობე შემოუვლიათ და სხვა ამისთანა დაბრკოლება გაუმართავთ. ამ პოზიციაზე რუსებს 14 ბატალიონი ქვევითა ჯარი და 3 პოლკი კავალერია ედგათ და 30 ზარბაზანი ეწყოთ. მეტად ძლიერი პოზიცია იყო. იაპონელების ჯარი სამ კალონად (რაზმად) გაიყო და 30 ვერსტის სიგრძეზე სამის მხრიდან მიიტანა იერიში ამ პოზიციაზე. პირველი კალონა პოლკოვნიკ კამადას უფროსობით დასავლეთ სიმაღლეებისაკენ გაემართა, მეორე გენ. ასადას უფროსობით აღმოსავლეთ სიმაღლეებისაკენ და მესამე გენ. მარიუს უფროსობით რუსების მარჯვენა ფლანგის (ფრთის) მოსავლელად გაემართა. 12 ივნისს, დაღამების ხანს, ერთი მაშველი რაზმიც სენტაოკუსა და ხსიახატას შუა სიმაღლეების დასაჭერად წავიდა, რომ ამით გენ. მარიუს კალონისათვის დახმარება გაეწია. ამ მაშველ რაზმს რუსებმა სამი ბატალიონი და რვა ზარბაზანი დაუხვედრეს. ამ ადგილას ბრძოლამ მთელი დღე გასტანა. რუსებმაც და იაპონელებმაც ღამე ბრძოლის ველზე გაათენეს. მეორე დღეს-კი, 14 ივნისს, იაპონელებმა ეს სიმაღლეები დაიჭირეს. ამავე დროს გენ. მარიუს კალონა 13 ივნისს ღამეს ჩიგუანლინამდე მივიდა, 14 ივნისს, გათენების ხანს, დასავლეთისაკენ გაეშურა და თავის ჯარის ნაწილი მაშველ რაზმის დასახმარებლად გაგზავნა. გზა-და-გზა მარიუს კალონამ ორი მტრის ბატალიონი უკუ აგდო და დილის 11 საათზე დალინის უღელტეხილს ზურგიდან მოექცა. გენ. ასადას კალონა,—მარჯვენა ფრთაზე იდგა—13 ივნისს იანგნანკოუდან გავიდა, 2 ათას რუსს უკან დაახევინა და დალინის მთის აღმოსავლეთ კალთებზე პოზიცია დაიჭირა, იქ, სადაც დალინის მთა სწყდება; აქედან 14 ივნისს დილის 5 საათიდან იაპონიის არტილერიამ დიდი სროლა ასტეხა, მაგრამ რუსებს აქ ისეთი კარგი პოზიციები ეჭირათ, რომ გენ. ასადას კალონა ბევრ ვერას გახდა. ამავე დროს გენ. ასადას ერთი პოლკი დილის 11 საათზე მტერს ზურგიდან მოექცა. პოლკოვნიკ კამადას კალონა 14 ივნისს ღამეს დალინის უღელტეხილის დასავლეთ სიმაღლეებისაკენ გაემართა და 14 ივნისს დილის 7 საათზე კარგი პოზიციები დაიჭირა და აქედან არტილერიამ მთელს დალინის ხეობას ზარბაზანი დაუშინა. არტილერიის დახმარებით, იაპონელების ქვევითა ჯარმა გვერდიდან მოაუარა რუსებს; ასე რომ 14 ივნისს დილით ადრე იაპონელებმა ორსავე ფრთიდან მოუარეს მტერს. ამიტომ რუსის არტილერია დილის 7 ს. 50 წ. გაჩუმდა და დილის 8 საათზე რუსის ჯარმა უკან დაიხია. ამ დროს გენ. ასადას კალონამ საპიორების დახმარებით ეკლიანი მავთული გადასჭრა, ნაღმები ააფეთქა და უღელტეხილის წვერი დაიჭირა. დილის 11 საათზე იაპონელებმა ზარბაზანი დაუშინეს უკან მიმავალ მტერს. რუსებმა სიმუჩენისაკენ დაიხიეს, 90 მოკლული რუსი და 88 დაჭრილი ბრძოლის ველზე დარჩა; ეს დაჭრილები იაპონელებმა დაატყვევეს; იაპონელებს 180 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ამავე დღეს სამი ბატალიონი რუსის ჯარი 16 ზარბაზნით ხელ-ახლად ეცადა პოზიციის უკან დაბრუნებას, მაგრამ იაპონელებმა უკუ აგდეს. („რ.“).

ახალი ამბავი

◆ 29 ივნისს სამსახურის საქმეებისა გამო **პეტერბურგს წავიდა კავკასიის მთავარ-მართებელი** თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ. მთავარ-მართებელი გააცილეს თანაშემწემ, ინფანტერიის გენერალმა ა. ა. ფრეზემ, შტაბის უფროსმა, გუბერნატორმა, კომენდანტმა და სხვებმა. მთავარ-მართებელს თან ახლავს თავისს კანცელარიის უფროსი გენერალი ტროფიმოვი.

◆ კავკასიის **მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი** ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე გუშინ, 30 ივნისს, საზაფხულოდ კოჯორს წავიდა. გენერალი ფრეზე კვირაში ორჯელ ჩამოვა ტფილისს მთხოვნელთა მისაღებად. კოჯორშივე გადავა მთავარ-მართებლის კანცელარიაც.

◆ 24 ივნისს, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა **ტფილისის გუბერნიის სასანიტარო კომისიის.** თანახმად სხდომის ოქმისა, სასანიტარო კომისიების მოქმედება ტფილისის გუბერნიაში, როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, უკვე დაწყებულად უნდა ჩაითვალოს. კომისიები ყოველ მხრივ მზად უნდა იყვნენ იმ შემთხვევისათვის, თუ ხოლერამ იჩინა თავი. ამიტომ ეხლავე: ა) უნდა გაიგზავნოს სამაზრო ცენტრებში სადეზინფექციო და სამკურნალო წამლები; ბ) გამოირკვეს არსებულ სამკურნალო პერსონალის რაოდენობა, იმათი ბინადრობა; გ) აიკრძალოს ექიმების დროებით დათხოვნა დასასვენებლად და დათხოვნილებს დაბრუნება მოეთხოვოთ. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს საყასბოებისა, ფაბრიკა-ქარხნების, სავაჭრო სახლებისა და ამგვარ დაწესებულებების სისუფთავეს; ქალაქის გამგეობამ საგანგებოდ უნდა უვლოს ყური წყლის მილს, რომ წყალი არ დაასკლდეს მცხოვრებთ. დასასრულ, კომისიამ დაადგინა: 1. რუსულსა და ადგილობრივ ენებზე გამოსცეს სამკურნალო საზოგადოების მიერ შედგენილი დარიგებანი იმის შესახებ, თუ როგორი ღონისძიებანია საჭირო ხოლერის წინააღმდეგ; 2. საპოლიციო გამგეობებთან, სახალხო აუდიტორებში და ყველგან, სადაც-კი შესაძლებელი იქმნება, უნდა გაიმართოს საჭირო ლექციები, რომ პოლიციელებმა და მეეზოვეებმა ისწავლონ დეზინფექციისა და პირველ შემწეობის აღმოჩენა; 3. ეთხოვოს სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიას პირველ ხანებში გამოიკვლიოს საეჭვო ავადმყოფთა განავალი; 4. თუ ხოლერა გაჩნდა, უნდა გაიხსნას რაც შეიძლება მეტი უფასო საჩაიები და მოეწყოს წყლის ფილტრაცია; 5. ეხლავე გადაიდოს ორი ათასი მანეთი 1903 წელს უმაღლესად დამტკიცებულ „წესების“, წიგნაკების და ფურცლების დასაბეჭდად რუსულსა და ადგილობრივ ენებზე და სხვა.

◆ **ხოლერის საწინააღმდეგო** სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ აცნობა გუშინ სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოების გამგეობას, რომ საჭიროა გამგეობა ეხლავე შეუდგეს კითხვათა გამართვას ყველა ენაზე. კითხვები უნდა გამართ

ლერის შესახებ, როგორი ცხოვრებაა საჭირო ხოლერობის დროს, როგორ უნდა მოუაროს კაცმა თავს და სხვა. კომისია თავის მხრივ დახმარებას ჰპირდება.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიის დადგენილების თანახმად, თავმჯდომარემ წინადადება მისცა საქიმიო ლაბორატორიის გამგეს, კვირაში ორჯერ ქიმიურად და ბაქტერიოლოგიურად **გამოიკვლიოს მილის წყალი**, და შედეგი გამოკვლევისა აცნობოს კომისიას.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიამ სთხოვა გუშინ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას, იკისროს სახალხო ლექციების კითხვა **ხოლერის** შესახებ. სასანიტარო კომისია ჰპირდება საზოგადოებას ფულით დახმარებას, სადგომის შოვნას და სხვას.

◆ ტფილისის სასანიტარო კომისიამ დაავალა გადამდებ სენის სამკურნალოების გამგეს, სამკურნალოს ერთს სადგომში ავადმყოფების მიღება შესწყვიტოს, სადგომი დაასუფთაოს და მზად იქონიოს **ხოლერიან ავადმყოფების** მოსათავსებლად იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში ხოლერა გაჩნდეს.

◆ დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა ხელის მომწერლებს მე-V №-რი ჟურნალ „**მოამბისა**“ შემდეგის შინაარსით:

1. განთიადი. ეპიზოდი საქართველოს წარსულიდან, ოთხ მოქმედებად და 5 სურათად. თავ. ივ. აფხაზისა.—2. ბედნიერებისაკენ. ივ. ნაჟივაძისა. თარგმანი ხვთისპირელისა.—3. უსინათლო მუსიკე. თავი მეხუთე (ეტიუდი) გლ. კოროლენკოსი. თარგმანი ინ-ანისა.—4. ცხოვრება და ღვაწლი თ-დის გრიგოლ ორბელიანისა. თავი XIII—XIV. ი მეუნარგიასი.—6. „ვეფხვის ტყაოსნის“ შესამოწმებელი მასალა. (უბის წიგნიდან) ე. გ.—6. ადამიანის ბუნება მეცნიერების წინაშე. ექიმის ბაქრაძისა.—7. ცხოვრება და ხელოვნება, ჩვენი თეატრის საქმეები: „დალატი“ ტრაგედია თ. სუმბათაშვილისა. კოტა აბაშიძისა.—8. ღენას ანუ დიმიტრი ბატონიშვილის თავგადასავალი. თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა.—9. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.—10. ნარევი.—11. შინაური მიმოხილვა.—12. იოსებ ზოსიმეს ძე ბაქრაძე.—13. უცხოეთის მიმოხილვა.—14. პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი.

◆ შოუვიდა საყმაწვილო ნახატებიანი კრებული „მოლაღური“. შინაარსი კრებულისა: ვარდი და ია ლექსი—სოფ. გ—ძისა.—ტოროლა.—თავგვის მხსნელი (თარგმანი)—ტასოსი.—სამი ბეჭედი (იგავი)—ალ. სარაჯიშვილისა.—მონადირე (თარგმანი)—ტასოსი.—ბუს თავგადასავალი სენტ ილერის ზღაპარი (თარგმანი).—ს. ციციშვილისა.—„პატარა ტოტოს“—დ. თომაშვილისა.—ტურფა (ზღაპარი)—ალ. სარაჯიშვილისა.—გაბრიელ ეპისკოპოსი და დიაკვანი—გ. წყალტუბელისა.—პერსეუსი (ოვიდიუსი)—ალ. ყუმისთაველისა.—კაცი-ჭამია ხე (ფრანგულიდან)—თ. სახოკიასი.—გასართობი—ომიანობა.

◆ ეხლა-ხან ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, ვითომ ჯუმათის სადგურს თავს დაეცნენ და გაძარცვეს შეიარაღებულმა ყაჩაღებმაო. როგორც გავიგეთ, ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია. 27 ივნისს სადგურზე დიდძალი ხალხი ყოფილა. აქედან მიმავალ მატარებელში (№ 6) რამდენიმე უბილეთო მგზავრი მჯდარა. სადგურ ჯუმათში რომ მისულან, კონდუქტორებს ძალათი ჩამოუთრევიათ უბილეთოები და სადგურში შეუყვანიათ. სადგურში რა მოხდა, არ ვიცით, ხოლო როცა უბილეთოები უკანვე გამოჰყავდათ ქვა-ფენილზე, ვიღაცას უფროს კონდუქტორისათვის თავში დაურტყამს იარაღი და დაუჭრია. ამის გამო მომხდარა ჩხუბი; დაუწყიათ ყვირილი, წივილ-კივილი. ზოგს დაუძახნია: გვიშველეთ, ყაჩაღები დაგვეცნენო. მერე აღმოჩნდა, რომ ყაჩაღები არსად არ იყვნენ.

◆ კავკავის ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისისას, აცნობოს როგორის წესით ასუფთავებენ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს და აქვს თუ არა ამისათვის გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი. თუ აქვს ერთი ცალი გაუგზავნოს.

◆ ქალაქის სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების გამგეს ენფიაჯიანცს, დანიშნოს კომისიასთან ერთი ტეხნიკოსი, რადგან კომისია უნდა შეუდგეს ამ დღეებში ტეხნიკოსის დახმარებით ქალაქის მოედნებისა და ქუჩების მოწესრიგებას.

◆ უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადო[illegible] თვალის სამკურნალოს გამგე ქ-ნი პუტიატა ორის თვით საზღვარ-გარედ წავიდა. ქ-ნ პუტიატამ განკარგულება მოახდინა, თუ ვინიცობაა ტფილისში ხოლერა გაჩნდა, სამკურნალო დაიხუროს დროებით. ხოლო ექიმებმა სასანიტარო დასი შეადგინონ და ქალაქის კომისიას დახმარება აღმოუჩინონ ხოლერასთან ბრძოლის საქმეში.

◆ ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა გუშინ ქალაქის სადეზინფექციო კამერის გამგეს, შეჰკრიბოს ცნობები იმის შესახებ, საავთიაქო წამლების საწყობებში არის თუ არა საკმაო ფორმალინი, სულემა და კარბოლის სიმჟავე და რამდენი შეუძლიათ დაუთმონ ქალაქის სასანიტარო კომისიას საჭიროების დროს.

◆ ულუხანლუ-ჯულფის რკინის გზის გამგეობამ შეატყობინა კავკასიის საარქეოლოგო საზოგადოების გამგეობას, რომ გზის კეთებას უკვე შევუდექით და რადგან ლიანდაგმა უნდა გაიაროს ჯულფის სომეხთა ძველ სასაფლაოზე, ყურადღება მიაქციეთ, შეიძლება რამე ძველი ნაშთი აღმოჩნდესო.

◆ კავკასიის უსინათლოთა სამზრუნველოს თვალის სამკურნალოს უმცროს ორდინატორად დანიშნეს შულავერის სოფლის საავადმყოფოს გამგედ ნამყოფი ექიმი გ. ფ. ნათიაშვილი.

◆ დარჩიაშვილის ბაღში ნავთლუღს 27 ივნისს ვიღაც ქურდს გაუტეხია სადარაჯო ქოხი და წაუღია 30 მანეთი.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში 29 ივნისს ჩხუბი მოსვლიათ ტფილისის მცხოვრებთ გეურქ სარქისოვს და თედორე პანკინს. პანკინს დაუჭრია ბებუთით სარქისოვი და დამალულა.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 232.** შინაარსი: „მოლა ირამეს თხზულება“, ძველი სპარსული თქმულება, თარგმ. ს. ციციშვილისა, „ვარდის ფერფლი“, (დასასრული) კატულ მენდესისა, თარგ. ხომლელისა; სურათები: „შელოცვა“, სურათი ჰორვიცისი, მარშალი ოიამა, იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი, ადმირალი სკრიდლოვი, იაპონელი ჯარის-კაცნი ბრძოლის შემდეგ დღიურებს სწერენ და ერთი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ 26 ივნისს, საღამოს 4 საათზე, ტფილისის ქუჩა ხალხით სავსე იყო; ყველა სადგურისაკენ მიეჩქარებოდა. ამ დღეს ექიმის ს. ბ. თოფურიას ცხედარს მოელოდნენ აბასთუმნიდან. ქართველი, რუსი, სომეხი, ებრაელი, თათარი—ყველა შეეერთებინა ამ მოღვაწეს, ყველას გული მოეგო და ამიტომაც ყველა ვალდებულად რაცხდა თავის თავს უბრალო დახვედრით მაინც პატივი ეცა განსვენებულისათვის. მალე მატარებლის სტვენამ გვამცნო ცხედრის მოახლოვება. ყველა სადგურს მიაწყდა. ცხედარს მიეგებნენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ჭირისუფალნი და ქუთაისის საზოგადოება. ბევრ ტირილს დავსწრებივარ, მაგრამ ამდენი გულწრფელი ცრემლი რომ ვისთვისამე დაღვრილიყოს, ის კი არ მინახავს: სტიროდნენ მარტო ჭირისუფლები, ნათესავები და მეგობარ-ამხანაგები კი არა, სტიროდა ყველა, ვისაც კი სამსონის ცოტა ნაცნობობა ჰქონდა. ეპისკოპოზის ლეონიდის მიერ პანაშვიდის გარდახდის შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაემართა ტფილისის ქუჩით. კუბო ხელით მიჰქონდათ; წინ მიუძღვოდნენ სამღვდელოება და გვირგვინები. უკან მიჰყვებოდნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მთელი ზღვა ხალხი. ტფილისის ქუჩიდან პროცესიამ პუშკინის ქუჩაზე გადაუხვია, იქიდან ალექსანდროვის ქუჩაზე; საკათედრო ტაძრის წინ გარდახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი და შემდეგ გარდაცვალებულის საავადმყოფოსკენ გაემართნენ. ქუჩებში ტევა აღარ იყო; ყველა მაღაზიები დაჰკეტეს მიცვალებულის პატივსაცემლად; სახლების აივნები ხალხით აივსო. კუბო დაასვენეს საავადმყოფოს დარბაზში და შეამკეს გვირგვინებით. გვირგვინები იყო: ქალაქის თვითმართველობისაგან (ვერცხლის გვირგვინი), ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან (ვერცხლისავე), „მწყემსი“-ს რედაქციისაგან, ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთაგან; საადგილ-მამულო ბანკისაგან, ქუთაისის გიმნაზიის საპედაგოგო საბჭოსაგან, ქუთაისის სომეხთა საზოგადოებისაგან, ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსაგან, ქუთაისის ოლქის სასამართლოსაგან, ებრაელთა საზოგადოებისაგან, ქუთათურ ნოქრებისაგან, ქუთათურ ფარმაცევტებისაგან, საავადმყოფოს მსახურთაგან, თანამსახურთაგან, საავადმყოფოს საშუალო პერსონალისაგან, უგან. თავადის მინგრელსკისაგან, პრინცის კ. პ. ოლდენბურგელისაგან, ქუთათურ კბილის ექიმთაგან, ქუთათურ სამკურნალო საზოგადოებისაგან, სვანებისაგან, (ამ გვირგვინს ეწერა: ს. ბ. თოფურიას—ერთად-ერთს განათლებულ თანამემამულეს, რომლის მადლიერნი არიან მთებში მომწყვდეული დაობლებული სვანები) და მრავალი სხვა. მიცვალებულის დასაფლავება იკისრა ქალაქმა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

28 ივნისი

ამ დღეს უკანასკნელი კრება უნდა ყოფილიყო საბჭოსი, მაგრამ, რადგან განუხილველი დარჩა კიდევ რამდენიმე საქმე, კრების გაგრძელება დაინიშნა დღეისთვის. პირველად საბჭოს მოხსენდა დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ამა 1904 წლისათვის. დამატებით წელს ქალაქს სჭირდება 376,674 მან. ხარჯების დასაფარავად ქალაქს აქვს სხვა-და-სხვა წყაროებიდან 376,674 მან. სხვათა შორის, უნდა მიემატოს 1 ივლისიდან დასაფასებელ გადასახადს 1/4 კაპ. ზოგი ხმოსანი წინააღმდეგი იყო დასაფასებელ გადასახადის მომატებაზე. ამათ აზრით, საჭიროა გამოირიცხოს ხარჯთ-აღრიცხვიდან 68,000 მან., რომელიც მუხრანსკის ხიდისათვის საჭირო ადგილის შესაძენად უნდა გადაუხადონ აზნაზაროვს. ბოლოს საბჭომ უცვლელად დაამტკიცა დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ საბჭომ განიხილა დადგენილება სასანიტარო კომისიისა ქალაქის დასასუფთავებლად ფულის გადადების შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასანიტარო კომისიას საჭიროდ მიაჩნია 20,838 მან. გადადება. საბჭომ ეს წინადადება დაამტკიცა. როგორც ვწერდით, საბჭომ საჭიროდ სცნო ავლაბარში სამშობიარო სახლის დაარსება და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიანდო ქალაქის გამგეობას. გამგეობისა და მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კომისიის შეერთებულ სხდომის მიერ შემუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვით, სამშობიარო თავშესაფარის შესანახად ყოველ წლივ საჭიროა 10,000 მან. ხოლო ერთ-ხანად 3077 მან. შეძლებულთ გამოერთვას დღე-ღამეში 50 კაპ., ხოლო ღარიბები უფასოდ უნდა მიიღონ ხოლმე. კამათი გამოიწვია საფინანსო კომისიის წინადადებამ, ყველა ავადმყოფისთვის უფასო იყოს თავშესაფარიო. საბჭომ მიიღო მთელი პროექტი სამშობიარო თავშესაფარისა. თავშესაფარისათვის სახლს დაიქირავებენ და მოაწყობენ ამა წლის დასასრულს, ხოლო მოქმედებას დაიწყებს 1905 წლის 1 იანვრიდან. შემდეგ საბჭომ განიხილა მოხსენება გამგეობისა, ნება მიეცეს გამგეობას ზაფხულობით შესცვალოს ხოლმე ხორცისა და პურის ნიხრი. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება. ამას წინად გუბერნატორმა მისწერა გამგეობას, დახუროს მტკვრის მარჯვენა ტოტი მადათოვის კუნძულზე, რადგან ამ ტოტში ყოველივე სიბინძურე იყრება, წყალი დუნედ მიდის და ვერა ჰრეცხს კალაპოტს. გუბერნატორი ურჩევს ქალაქს, ტოტი მიწით ამოავსოს და ზედ ბაღი გააშენოს. ტოტის ამოვსებას დასჭირდება 150,000 მან., ხოლო ბაღის გაშენებას 50,000 მან. საბჭომ საჭიროდ სცნო ამ საქმის განხორციელება, ხოლო უფულობისა გამო უმრავლესობამ მოინდომა საკითხის იმ დრომდე გადადება, ვიდრე ქალაქს საჭირო ფული ექნება. ზოგიერთი ხმოსანი წინააღმდეგი იყო ამისა. საბჭომ დაადგინა, დაავალოს ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კომისიას ყოველ მხრით განიხილოს ეს საქმე და თვისი მოსაზრება წარუდგინოს საბჭოს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამას წინად დეპეშებმა გვაცნობეს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა უწმ. სინოდის დადგენილება იმის შესახებ, რომ ცოლ-ქმრობის სიწმინდის დამრღვევ და გაყრილ ცოლ-ქმართ ცოლის შერთვისა და გათხოვების ნება ეძლევათ. დღევანდელ რუსეთის გაზეთებში ასე დაწვრილებითაა განმარტებული ეს ახალი კანონი: „თუ დამტკიცდა, რომ ქმარს ან ცოლს ქმრობის ან ცოლობის გაწევა არ შეუძლიათ, ან თუ რომელიმე მათგანმა იმრუშა და ამით დაარღვია ცოლ-ქმრობის სიწმინდე, ცოლ-ქმრობა ისპობა და მომჩივანს, რომელიც პირველად ან მეორედ იყო ცოლ-შერთული ან პირველად ან მეორედ იყო გათხოვილი, ხელ-ახლად დაქორწინების ნება ეძლევა, პასუხის მგებელთ კი, რომელთაც ქმრობის ან ცოლობის გაწევა არ შეუძლიათ, ხელ-ახლად დაქორწინების ნება აღარ მიეცემათ; იმ პირთ, რომელთაც ჰბრალდებათ მრუშობა და ცოლ-ქმრობის სიწმინდის დარღვევა, თუ პირველად ან მეორედ იყვნენ ცოლ-შერთულნი ან პირველად ან მეორედ გათხოვილნი, ხელ-ახლად დაქორწინების ნება ეძლევათ, ხოლო დაქორწინებამდის, დანაშაულისა და მონანების დაგვარად, საეკკლესიო წესით და სასულიერო სამსჯავროების გადაწყვეტილებით საეკკლესიო სასჯელი დაედებათ. ხოლო თუ მეორედ დაქორწინებულმა ქმარმა ან ცოლმა იმრუშა, ხელ-ახლად ცოლის შერთვისა ან გათხოვების ნება აღარ მიეცემათ და საეკკლესიო სასჯელი დაედებათ.

◆ გაზ. „ტელეგრ.“-ი იუწყება, რომ ქ. პერმში მოუყვანიათ და ერთ ადგილობრივ ყაზარმაში დაუბინავებიათ დატყვევებულ იაპონელთა და კორეელთა პირველი ჯგუფი. ყველა ესენი ომის დაწყების დროს დაუტყვევებიათ ვლადივასტოკსა, პორტ-არტურსა და დალნიში. მათ შორის ქალებიცა და ბავშვებიც არიან; უმრავლესობა—უბრალო ხალხია, მხოლოდ რამდენიმე აფიცერი და განათლებული კაცი ყოფილა ამ ჯგუფში. მოიყვანეს თუ არა დატყვევებულნი, ცნობის მოყვარე ხალხი შემოესია ყაზარმას, მაგრამ შიგ შესვლის ნება მხოლოდ ზოგიერთებს მისცეს. მეორე დღეს დილას იაპონელი ქალები გამოუშვიათ ქუჩაში და პოლიციელები გამუყოლებიათ, რომ ხალხს შეურაცხყოფა ამ მიეყენებია მათთვის. ხალხი მშვიდობიანად უცქერდა იაპონელ ქალებს, რომლებიც ბაზრისკენ წასულან სანოვაგის საყიდლად.

◆ რადგან ხელოსანთა წოდების რეფორმა უნდა მოხდეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში კომისია იქნება დანიშნული ივლისში ხელოსანთა შეგირდების შესახებ საკითხის შესამუშავებლად. განსახილველი საგნებია: მცირე-წლოვან შეგირდებისათვის ხელობის შესწავლის უზრუნველყოფა; სხვა-და-სხვა ზომების შემოღება, რათა შეგირდებს შეძლება მიეცეთ, იარონ საღამოსა და საკვირაო სკოლებში; შეგირდების ზნეობისა და ჯანმრთელობის დაცვა; სამოსწავლო სახელოსნოების დაწესება შეგირდების მოსამზადებლად; კანონმდებლობის საშუალებით შეგირდების მდგომარეობის განწესრიგება, სახელოსნო ინსპექციის შემოღება და სხვ.

◆ ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტების თავშესაფარში განცხადებაა გაკრული, რომელშიაც ნათქვამია, რომ სტუდენტებმა უნდა დასცალონ ოთახები, რადგან სახლს სამხედრო უწყებაში გადასცემენო.

◆ გრიგალს ბევრად უფრო მეტი ზარალი მიუყენებია მოსკოვისათვის, ვიდრე ამას წინად სწერდნენ. მარტო ერთი გრიგალისაგან განადგურებული სახელმწიფო ტყე ქალაქს ახლოს 2 მილიონ მანეთად ღირებულა. მოსკოვის ერობა მხნედ შეუდგა ზარალის რაოდენობის გამორკვევასა და დაზარალებულთა დახმარებას.

◆ „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით, ხარკოვის ცენზურამ აკრძალა საერობო სკოლების მოწაფეებისათვის სკოლის გარეშე საკითხავად შემდეგ ცნობილ მწერლების ნაწერები: გოგოლისა, მარკო-ვოვჩეკის, სტანიუკოვიჩის და სხვ. ერობამ განასაჩივრა ცენზორის დადგენილება ბეჭდვით საქმის უმთავრეს გამგეობაში, რომელმაც გააუქმა ხარკოვის ცენზორის განკარგულება.

◆ „ვილ. ვესტ.“-ი იუწყება, რომ 14 ივნისს ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა ააფეთქეს ბელოსტოკში სატრიუმფო არკა (კარები). აფეთქების დროს ისე მძლავრად შეძრულა ჰაერი, რომ შორი-ახლოს ერთი გამვლელი წაუქცევია და დაუშავებია. დანგრეულ არკის ნატეხები იქვე ახლოს ერთ დედაკაცს მოხვედრია და იმ წამსვე მოუკლავს.

◆ ჩრდილოეთ კავკასიიდან აუწყებენ „რუსკ. ვედ“ ს, რომ იქ წელს დიდძალ მოსავალს ელიან, დონის ოლქში-კი—საშუალო მოსავალს.

◆ ოდესის გაზეთები აუწყებიან, რომ ქ. ოდესისა, ხერსონისა და ნიკოლაევის შორის ამ მოკლე ხანში ავტომობილებით მიმოსვლა გაიმართება.

◆ ცნობილ რუსეთის მწერალს ექიმ ვერესაევს, (სმიდოვიჩს) რომლის წიგნმა „ექიმის დღიურმა“ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია მწერლობაში, განუზრახავს შორეულ აღმოსავლეთში ექიმად წასვლა.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობამ განმარტა, რომ შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის არმიაში ყველა მოსამსახურეთ წერილები უფასოდ გაეგზავნებათ, ე. ი. მარკის დაწებება არ სჭირდება. აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთიდანაც წერილები უმარკოდ იგზავნება.

თეატრი

ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი უკვე შესდგომია მომავალ სეზონისათვის მზადებას. ბ-ნ მესხიშვილს დასი ეყოლება ქუთაისში. უკვე მოუწვევია არტისტები და ამზადებს რეპერტუარს. განზრახვა აქვს, სეზონის განმავლობაში უმთავრესი ყურადღება მიაქციოს იდეურს და შინაარსიან პიესებს. ჯერ-ჯერობით დამზადებული აქვს შემდეგი პიესები (გარდა „სტოკმანისა"): „საზოგადოების ბურჯნი" იბსენისა, „სულით მარტონი" და „როზა ბერდი" ჰაუპტმანისა „კანდიდატი" დრეიერისა, „მსახურნი" (ЛЮДИ) პლატონისა, „ვანიუშინის შვილები" და „№ 13" ნაიდენოვისა, „ახალი მოძღვრება" ბარეტისა, „მონა ვანნა" მეტერლინკისა, მირბოს ახალი პიესა და სხ. გარდა ამისა ბ-ნ მესხიშვილს მშვენიერი აზრი მოსვლია: ზოგიერთ ინტელიგენტის დახმარებით უნდა რამდენიმე საუბარი გამართოს არტისტებთან პიესებისა და თეატრის შესახებ. წარმოდგენები კვირაში ორ-ორჯერ იქნება.

წერილები

სოფ. აკეთი (გურია). 22 ივნისს ს. აკეთში შემდეგი მკვლელობა მოხდა: აკეთის სოფლის მამასახლისი და იმავე სოფლის მწერალი მოდიოდნენ დ. ლანჩხუთიდან. როცა ჩამოსულან ს. აკეთს, ქუჩაზედ შეხვედრიათ ვიღაც შეიარაღებული კაცები, რომელთ დაუმიზნებიათ თოფები და გაუსროლიათ. სამი ტყვია მოხვედრია სოფლის მწერალს მ. ლომაძეს და იმ წამსვე გარდაცვლილა. მამასახლისი კი უვნებლად დარჩენილა. ვინ იყვნენ ეს კაცები, ჯერ-ჯერობით არ იციან.

ღელისპირელი.

სამტრედია (იმერეთი). სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ აქაურმა საკვირაო სკოლამ, რომელსაც ბევრის ტანჯვა-წვალების შემდეგ ძლივს ეღირსა გახსნა, 6 კვირის არსებობის შემდეგ განისვენა „წიაღსა შინა აბრაამისასა". სკოლაში გახსნისათანავე 38 ვაჟი შევიდა და 5 ქალი. ქალების რიცხვი მალე 50-მდე ავიდა. თითქმის ყველანი ილინას ძმების სალებ-სახვევ ქარხნის მუშა ქალები იყვნენ. ღარიბ მოწაფეებს დაურიგდათ უფასოდ საჭირო სამოსწავლო ნივთები, რომლებიც, როგორც გადმოგვცეს, ერთ კაცს შეუწირავს. მაგრამ ვერც ამან დაიხსნა სკოლა განსაცდელისაგან. სკოლის დაარსებამდე აქაურმა ხელოსნებმა და ვაჭრებმა დაადგინეს, კვირაობით მთელი დღე დუქნები დაკეტილიყო. ქარგლებს, ნოქრებს და შეგირდებს უნდოდათ ესარგებლნათ ამ დროთი და სკოლაში ევლოთ. მაგრამ ამის წინააღმდეგ მალე გაილაშქრეს ზოგიერთა ვაჭბატონებმა და მალე დაარღვიეს კიდეცა ხსენებული განაჩენი. თუმცა პატრონებმა ბოქაულს აღუთქვეს, კვირაობით დუქნები გაგვაღებინე და ქარგალ-ნოქარ-შეგირდებს საკვირაო სკოლაში სიარულის ნებას მივცემთო, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე მოხდა: ქარგალ-ნოქარ-შეგირდებს არ მისცეს იმდენი დრო, რომ სკოლაში სიარული შესძლებოდათ. შესაძლებელია, რომ საკვირაო სკოლა კვლავ „მკვდრეთით აღსდგეს", უკეთუ მასწავლებელნი და ზედამხედველი თავიანთ წმინდა მოვალეობას არ დაივიწყებენ. 23 ივნისს, ღამის 10 საათზე, ვაჭრის ივ. კოპალეიშვილის სახლს ყაჩაღები დაეცნენ. ასტყდა თოფების სროლა. ხალხი ისე შეშინდა, სანთლები ჩააქრეს და როცა ხმაურობა მიწყნარდა, მაშინაც ძლივს გაბედეს კარში გამოსვლა და ამბის გაგება. ყაჩაღებმა ვერაფერი წაიღეს. ყველაფერი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა.

მგზავრი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივნისი

მუკდენი. იაპონიის წყაროებიდან ცნობები მოვიდა, 28 ივნისს ღამით პორტ-არტურის პოზიციებზე იერიში მიუტანიათ და იაპონელები უკუ უქცევიათ და დიდად დაუზიანებიათ. ჩვენის ნაღმებისაგან ვითომც 30 ათასი კაცი დაჰღუპვია იაპონელებს.

უფა. დღეს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე უფიდან ზლატოუსტს წაბრძანდნენ. სადგურზე თავი მოიყარეს დაწესებულებათა წარმომადგენელთ, დეპუტაციებმა და მრავალმა ხალხმა. ვოგზალი ხალებით, ბაირაღებითა და მწვანით მორთული იყო. გამობრუნდა თუ არა სადგურზე, ხელმწიფე იმპერატორმა საპატიო ყარაულს ჩამოუარა, რომლის მარცხენა მხარეს ადგილობრივ ჯარისა, ზლატოუსტისა და ჩელიაბინსკის პოლკების აფიცრები იდგნენ. ხელმწიფე იმპერატორმა მოწყალე სიტყვებით გააბედნიერა ისინი. დედათა მონასტრების წინამძღოლთ მონაზონთა მიერ ხელოვნურად გაკეთებული ხატები მიართვეს. თავადაზნაურთა დეპუტაციამ, ორენბურგის მუფტიმ, ქალაქისა, ერობისა, ვაჭართა, „მეშჩანთა" და ებრაელთა საზოგადოების წარმომადგენლებმა პურ-მარილი მიართვეს სათაყვანებელ მეფეს და უქვეშევრდომილეს ერთგულების გრძნობა გამოუცხადეს. საეროზო უფროსნი და გლეხობის მრავალი წარმომადგენელი, მამასახლისები, გააბედნიერა მეფის სიტყვის გაგონებამ. მისმა უდიდებულესობამ შეიტყო, რომ აქეთ მომავალ მატარებლით ტიურენჩენის ბრძოლაში დაჭრილი ექვსი ჯარის-კაცი მოდისო და მოისურვა იმათი ნახვა, უმოწყალესად მიუალერსა და ყოველი მათგანი ცალკ-ცალკე გაამხნევა.

29 ივნისი.

ტულონი. რუსეთის კონსული იყო გუშინ მისულ გემს „ორიოლ"-ზე. დღეს მინისტრ პელტანის ინსტრუქციებს ელიან, რომ შეუდგნენ გემის „საავადმყოფო" გემად გადაკეთებას.

ბერლინი. იმ დეპეშის გამო, რომელიც იმპერატორმა ვილჰელმმა გაუგზავნა ვიბორგის პოლკს, „ბერლინერ ტაგებლატ"-ი ამბობს, რომ ეს დეპეშა უბრალო ზრდილობის აქტია, ურომლისობაც შეუძლებელი იყო, რადგან იმპერატორი შეფია ამ პოლკისა. ამ აქტს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, მით უფრო, რომ სულ უბრალო ფორმაში გამოიხატა.

პარიზი. „ჟურნალ ოფისიელ"-ში გამოქვეყნებულია დეკრეტი, რომლის ძალითაც დაიხურა საკონგრეგაციო სკოლები 48 დეპარტამენტში. ამ სკოლების რიცხვი 753-ია.

ვენა. სალონიკიდან ვენაში მიმავალი მატარებელი სადგურ ამატოვოსთან გაჩერდა. იპოვეს რელსებზე დაგდებული 15 კილოგრამი დინამიტი. სალონიკსა და უსკიუბს შორის დაწყე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

სალონიკი. გუშინ დილით სალონიკიდან დედეაგაჩს წასული სამგზავრო მატარებელი სადგურ ბადობთან რელსებს ასცდა, რადგან რკინის გზის ხიდი ბოლგარიის მეამბოხეთ აუფეთქეს დინამიტით. გზა გაფუჭებულია. დაჭრილია ერთი კაცი.

სტამბოლი. მეამბოხეთა ცნობილმა ბელადმა სტოიჩმა, რომელსაც 4 წლის განმავლობაში ამათდ სდევნიდნენ, მორჩილება გამოაცხადა და ერთგულების ფიცი დასდო. ეს საქმე მოეწყო უსკიუბში რუსეთისა და ავსტრ-ჰუნგრეთის კონსულების შუამდგომლობითა და სამოქალაქო აგენტების დახმარებით.

მექსიკა. პორფირიო დიაცი ხელ-ახლად აირჩიეს პრეზიდენტად 6 წლის ვადით.

კიევი. ქალაქის საბჭომ მიანდო ხმოსნების განსაკუთრებულ დეპუტაციას მოლაპარაკება გამართოს კანალიზაციის აქციების უმთავრეს მესაკუთრეებთან. ქალაქს სურს, გამოისყიდოს კანალიზაცია. უმთავრესმა აქციონერმა ლაზარე ბროდსკიმ გამოაცხადა, დავუთმობ ქალაქს აქციებს შეღავათიან პირობებითო; იმედი აქვთ, რომ აქციონერთა უმრავლესობაც აგრეთვე თანხმობას გამოაცხადებს.

30 ივნისი

ყაზანი. ნაშუაღამევის ორ საათს ბოგოროდიცკი მონასტერი, შუა გულ ქალაქში, გაძარცვეს. მოიტაცეს ქალაქ ყაზანის წმიდანი სასწაულთ მომქმედი ხატი ყაზანის ღვთის მშობლისა, მაცხოვრისა და ნიკოლოოზ საკვირველ მომქმედისა. ხატები ძვირფასის თვლებით ყოფილა შემკული. წმიდა ჭურჭლები დანა და კრუჟკებიდან ფულებიც დაუტაცნიათ. გამძარცველთ დამის დარაჯი შეუკრავთ და სარდაფში ჩაუგდიათ. ხალხი მეტად აღელვებულია. მძარცველები და დაკარგული ნივთები ჯერ ვერ უპოვნიათ. გამოძიებას შეუდგნენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

მამულიშვილობა და მეცნიერება

ივ. ჯავახიშვილისა.

ფასი 15 კაპ. (10—6.—1)

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სცენისის ახლოს. (წ.—176—51)

შპალერების დეპო

პ. ლანკოსი.

გოლოვინის პროსპ., მირიმანოვის სახლი.

ყოველ-კვირა ვიღებ შპალერებს, თითო ნაჭერი 10 კაპ. დაწყებული; იქვე ყოველგვარი დეკორატიული მასალა: ბორდიური, ბაგეტი, რაზასი და სხვა. (3—2)

გამოვიდა გასასყიდად ახლად დაბეჭდილი

სრული გეოგრაფია საქართველოსი

ბატონიშვილის ვახუშტისა,

ავტორის სურათით, საქართველოს რუკით (ქარტით) და მრავალის ახალის შენიშვნებით მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა".

ღვაწლი ბატონიშვილის ვახუშტისა საქართველოს გეოგრაფიის შედგენით—დაუფასებელია. მისი გეოგრაფია იყო და არის ერთად-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის ქვეყნის გაცნობისათვის. მის ამ შრომას სხვაფრივაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა: თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნახევარი ადგილების სახელები საუკუნოდ დაკარგული იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, რომ ღვაწლ-მოსილ ვახუშტს ეს წიგნი არ დაეტოვებია. ვახუშტის გეოგრაფია ძვირფასი შეძენაა ყოველის ქართველისათვის იმითაც, რომ მასში იგი იპოვნის თავისი მხრის ბევრი ისეთი სოფლების, ქალაქების, ნაშთების და ადგილების აღწერას, რომლების არსებობას არც კი მოელოდა.

ჩვენ-მიერ დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს გაგზავნით მხოლოდ 2 მანეთი.

გამწერმა ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით- Въ Тифлисъ, редакція „Могзаури", Ивану Павловичу Ростомашвили. (10—211—4)

სადგურ „ბელოგორთან" ახლო, დ. ხარაგაულში მაქვს მოწყობილი

კირის ქარხანა,

სადაც მზადდება საუკეთესო ხარისხის კირი. (ამ საკირეს ინჟინრები ხმარობდნენ რკინის გზის გაყვანის დროს). მსურველთ გაეგზავნებათ ვაგონობით. ფასი ხელ-მისაწვდენია.

პატივისცემით ივანე პეტრეს ძე თაბუკაშვილი. (2—1)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა")

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, პიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ერთდროთ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით და 5—12 ს. სღ. (88—52—38)

გამომც. ქართველთა ამხანაგობის

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პეტრესი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად დააგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის მეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოჰოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—24)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.

კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—18)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

60—189—54) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი.

Доз. цензурою. 30 Іюня 1904 г. ელექტრონის ძალით წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბა. Электропеч. Груз. Изд. То—ва